



ზოგადი უნარების ტესტი

2010

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – ვერბალური და მათემატიკური – ნაწილისგან. თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე). ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი. დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას !

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია, ასევე, მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

1. თხზავს : მოთხრობა

- (ა) ბაძავს : ნიმუში
- (ბ) იკვლევს : კვალი
- (გ) აგროვებს : კოლექცია
- (დ) ამრავლებს : მამრავლი

2. წაახალისა : წააქეზა

- (ა) მიიმხრო : გადაიბირა
- (ბ) მოითმინა : გააჩუტდა
- (გ) ენდო : დაიმსახურა
- (დ) შეიგრძნო : მიხვდა

3. სიურპრიზი : მოულოდნელი

- (ა) სარკაზმი : ირონიული
- (ბ) კომპლიმენტი : შესაფერისი
- (გ) ფსევდონიმი : საკუთარი
- (დ) პარადოქსი : უჩვეულო

4. ორანჟერვა : ოაზისი

- (ა) ჰერბარიუმი : ბალი
- (ბ) ზოოპარკი : ნაკრძალი
- (გ) ლიმონარიუმი : სანერგე
- (დ) აკვარიუმი : აკვაპარკი

5. წერტილი : პოლუსები

- (ა) ადამიანი : ანტიპოდები
- (ბ) დისერტანტი : ოპონენტები
- (გ) უცხოელი : ემიგრანტები
- (დ) ლიდერი : პრეტენდენტები

6. წინაპირობა : საწინდარი

- (ა) მიზანი : სტრატეგია
- (ბ) შეფასება : კრიტერიუმი
- (გ) შედეგი : პროდუქტი
- (დ) დასკვნა : ანალიზი

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

7. რადგან ----- და რადგან ყოველთვის ----- სრული ცოდნა წარსულის შესახებ, ----- ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ.

- (ა) მომავალი შეგვიძლია საკმაოდ ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ / გვაქვს / ძნელია
- (ბ) მომავალთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ / არ გვაქვს / ძნელია
- (გ) მომავალთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ / გვაქვს / შეუძლებელია
- (დ) მომავალი შეგვიძლია საკმაოდ ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ / არ გვაქვს / შეუძლებელია

8. ----- ადამიანები ----- სოციალურ ნორმებს, ისინი, ძირითადად, ----- არიან, ----- ცდილობენ დაიცვან სამართლებრივად დადგენილი ნორმები.

- (ა) მართალია, / იშვიათად არღვევენ / კანონმორჩილნი / თუმცა, ყოველთვის
- (ბ) რადგან / ხშირად არღვევენ / კანონმორჩილნი არ / თუმცა, ყოველთვის
- (გ) მიუხედავად იმისა, რომ / ხშირად არღვევენ / კანონმორჩილნი / და, შესაბამისად,
- (დ) იმის გამო, რომ / იშვიათად არღვევენ / კანონმორჩილნი არ / და, შესაბამისად,

9. შუა საუკუნეების ტექსტებში წარმოდგენილია იდეალი, რომელთან მიახლოებაც ----- , მაგრამ განხორციელება - ----- . ალბათ, ამაშია დონ-კიხოტის ყველა წარუმატებლობის საიდუმლო - იმას, ----- , იგი ----- მიიჩნევს.

- (ა) შეუძლებელია / შესაძლებელი / რაც ადამიანისთვის ჩვეული ქცევის ნიმუშია / იდეალად
- (ბ) შესაძლებელია / შეუძლებელი / რაც ყოველდღიური ქცევის ნორმაა / ადამიანისთვის ჩვეული ქცევის ნიმუშად
- (გ) შეუძლებელია / შესაძლებელი / რისკენაც ადამიანი შეიძლება მხოლოდ ისწრაფოდეს / იდეალად
- (დ) შესაძლებელია / შეუძლებელი / რისკენაც ადამიანი შეიძლება მხოლოდ ისწრაფოდეს / ყოველდღიური ქცევის ნორმად

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

10. ფრანგი, იტალიელი და ესპანელი ალპინისტების ჯგუფი სამ კარავში ისე განაწილდა, რომ თითოეულ კარავში ორი ალპინისტი აღმოჩნდა.

- პირველ კარავში ერთი და იმავე ეროვნების ალპინისტები არიან, ხოლო დანარჩენ ორში – სხვადასხვა ეროვნებისა
- მეორე კარავში არც ერთი ალპინისტი არ არის ფრანგი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ალპინისტთა კარავებში განაწილების რომელი ვარიანტი აკმაყოფილებს ამ პირობებს?

I კარავი	II კარავი	III კარავი
(ა) ესპანელი, ესპანელი	ფრანგი, იტალიელი	იტალიელი, ესპანელი
(ბ) ესპანელი, ფრანგი	იტალიელი, ესპანელი	ფრანგი, იტალიელი
(გ) იტალიელი, იტალიელი	ესპანელი, ფრანგი	ფრანგი, ფრანგი
(დ) ფრანგი, ფრანგი	ესპანელი, იტალიელი	ესპანელი, იტალიელი

11. მოცემულია:

- ოდესმე აუცილებლად დადასტურდება მარსზე სიცოცხლის არსებობა

შემდეგი წინადადებებიდან რომელია მოცემულის ტოლფასი?

- (ა) შეუძლებელია, ოდესმე მარსზე სიცოცხლის არსებობა დადასტურდეს
- (ბ) შესაძლებელია, ოდესმე მარსზე სიცოცხლის არსებობა დადასტურდეს
- (გ) შეუძლებელია, მარსზე სიცოცხლის არსებობა არასოდეს დადასტურდეს
- (დ) შესაძლებელია, მარსზე სიცოცხლის არსებობა არასოდეს დადასტურდეს

12. მოცემულია:

- მე არ მყავს ისეთი მეგობარი, რომელიც არ არის საქმიანი ადამიანი
- მე ბევრი მეგობარი მყავს და ყველა ჩემი მეგობარი მოდურად იცვამს

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ ორი დებულებიდან?

- (ა) ყველა საქმიანი ადამიანი იცვამს მოდურად
- (ბ) ზოგიერთი ადამიანი საქმიანია და მოდურადაც იცვამს
- (გ) ყველა, ვინც მოდურად იცვამს, არის საქმიანი ადამიანი
- (დ) არ არსებობს ადამიანი, რომელიც საქმიანია და, ამავე დროს, მოდურად არ იცვამს

13. ვეშაპების მასობრივი გამორიყვის მიზეზების შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ბიოლოგთა ერთი ჯგუფი ამ ფენომენს ასე ხსნის: ვეშაპები თავიანთი ექოლოკაციის უნარის მეშვეობით, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ სანაპიროებს. მაგრამ ეს უნარი არ არის იმდენად განვითარებული, რომ ვეშაპებმა იგრძნონ წყალსა და ხმელეთს შორის განსხვავება ისეთ ადგილებში, სადაც წყლის სიღრმე ნაპირისკენ თანდათან, შეუმჩნევლად მცირდება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება განამტკიცებს ბიოლოგთა ამ მოსაზრებას?

- (ა) ვეშაპების გამორიყვა შეიძლება იყოს შედეგი მათი მცდელობისა, თავი დააღწიონ ამა თუ იმ მტაცებლის თავდასხმას
- (ბ) არსებობს იმის საბუთები, რომ სამხედრო საზღვაო წვრთნების დროს გამოყენებული ინტენსიური ბგერითი სიგნალები აზიანებს ვეშაპების ექოლოკაციის ორგანოებს
- (გ) ვეშაპები სპეციალური ბგერითი სიგნალებით უხმობენ თანაგუნდელებს საშველად; ერთი გარიყული ვეშაპის ასეთ სიგნალზე საპასუხოდ შეიძლება მთელი გუნდი მისკენ გაეშუროს და ზოგიერთმა მათგანმა თავადაც ველარ შეძლოს წყალში დაბრუნება
- (დ) ვეშაპების გამორიყვის შემთხვევების სტატისტიკამ აჩვენა, რომ სანაპირო ზოლზე არსებობს ე. წ. „ცხელი წერტილები“, სადაც განსაკუთრებით ხშირად ხდება მასობრივი გამორიყვა. ამ ადგილებში ოკეანის ფსკერის დახრა მხოლოდ ნახევარი გრადუსია

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების შემოქმედთა უმრავლესობა დიდი ხნის წინ გადაშენდა. მაიას ხალხი* კი დღესაც არსებობს, მისი შთამომავლები გარეგნულად არც გამოცვლილან. მაიას ტომებმა ენაც შეინარჩუნეს, თუმცა, მათი წარსულის შესწავლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე დიდი ხნის წინ დანგრეული სხვა რომელიმე ცივილიზაციისა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მაიამ შექმნა ძლიერი იმპერია, რომელიც ქალაქების მშენებლობასა და განვითარებაზე იყო ორიენტირებული. VIII თუ IX საუკუნეში კი მაიას ტომებმა უცებ მიატოვეს თავიანთი ქალაქები, უცებ შეწყდა დიდმასშტაბიანი მშენებლობები. ამ ცივილიზაციის დაცემის სავარაუდო მიზეზებს ორ კატეგორიად ყოფენ: არაეკოლოგიურად (მოსახლეობის სიჭარბე, მტრის თავდასხმა, მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების განადგურება) და ეკოლოგიურად (ეკოლოგიური კატასტროფა, ეპიდემიები, კლიმატის მკვეთრი ცვლილება).

ცენტრალური ამერიკის მკვლევრებს სამი სიძნელე ელობებოდათ წინ: ამ კულტურის თავისებურებით გამოწვეული სრულიად ახალი პრობლემები; მრავალფეროვანი მასალის უქონლობა; ადგილობრივ ლანდშაფტსა და ჰავასთან დაკავშირებული სიძნელეები. მაიას ენაზე შემორჩენილი რამდენიმე საბუთისა თუ წარწერის წაკითხვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიეგო დე ლანდას წიგნის დახმარებით. დიეგო დე ლანდამ მაიას ტომის ერთ-ერთი უკანასკნელი მეფისგან ჩაიწერა ცნობები მაიას ხალხის ცხოვრების წესზე, მის ღმერთებზე, მეზობელ ტომებთან ურთიერთობებზე. წიგნს დართული აქვს სურათები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რა ნიშნებით აღნიშნავდა მაია თევებსა და დღეებს. მაიას მიერ ქვის იარაღით ამოკვეთილი ყოველი რელიეფი, ორნამენტი თუ ცხოველის გამოსახულება დაკავშირებული იყო რაიმე თარიღთან. ყოველი უცნაური სახე აღნიშნავდა რომელიმე რიცხვს, ან მთელ კალენდარულ სქემასაც კი. მაგალითად, ორნამენტი, რომელიც თხუთმეტჯერ მეორდებოდა იეროგლიფთა კიბეზე ქალაქ კოპანში, აღნიშნავდა გასული დროის ციკლებს. შეიძლება ითქვას, რომ მაიას ყოველი ნაგებობა გაქვავებული კალენდარია.

თანამედროვე კალენდარი ზედმიწევნით ზუსტი არ არის – იგი მხოლოდ რამდენადმე უკეთესია წინამორბედებზე. ძვ. წ. 238 წელს პტოლემეოს III-მ ოდნავ გააუმჯობესა ძველეგვიპტური კალენდარი. იულიუს კეისრის სახელთანაა დაკავშირებული ე. წ. იულიუსის კალენდარი, რომელიც გამოიყენებოდა 1582 წლამდე, როდესაც იგი ახალი, ე. წ. გრიგორიანული კალენდრით შეცვალა პაპმა გრიგოლ XIII-მ. თუ წლის ხანგრძლივობის შესახებ სხვადასხვა კალენდრისა და ასტრონომიული გამოთვლებით მიღებულ თანამედროვე მონაცემებს ერთმანეთს შევადარებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

წლის ხანგრძლივობა –	იულიუსის კალენდრით	365,250000 დღე
	გრიგორიანული კალენდრით	365,242000 დღე
	მაიას კალენდრით	365,242129 დღე
	ასტრონომიული გამოთვლებით	365,242198 დღე

უცნაურია, მაგრამ ხალხი, რომელიც უზუსტეს ასტრონომიულ დაკვირვებებსა და მათემატიკურ გამოთვლებს აწარმოებდა, ყველაფერს მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაიას წარმოდგენებში კონკრეტული თარიღები, ციკლები „ზებუნებრივ“ ძალებს უკავშირდებოდა. მაიას ტომები თავის დიდებულ შენობებს მაშინ კი არ აგებდნენ, როცა ეს მათ სჭირდებოდათ, არამედ მაშინ, როცა კალენდარი „უბრძანებდა“. ისინი აშენებდნენ ყოველ ხუთ, ათ, ოც წელიწადში ერთხელ და უსათუოდ მიუთითებდნენ აშენების თარიღს. თუ ახალი კალენდარული ციკლი მოითხოვდა, უკვე აშენებულ პირამიდას მეორეს დააშენებდნენ. მსოფლიოში ყველაზე ზუსტი კალენდრის შემქმნელი ხალხი იმავე დროს მისი მონა გახდა.

*მაიას ხალხი – ცენტრალური ამერიკის მკვიდრნი, ახ. წ. დასაწყისში შექმნეს დიდი ცივილიზაცია.

14. ქვემოთ დაწყვილებულია პირველი აბზაცის წინადადებები. ჩამოთვლილთაგან რომელი ორი წინადადების დასაკავშირებლად არ იქნებოდა სწორი კავშირის – „თუმცა“ – გამოყენება?

- (ა) მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების შემოქმედთა უმრავლესობა დიდი ხნის წინ გადაშენდა – მაიას ხალხი დღესაც არსებობს
- (ბ) მაიას ტომებმა ენაც შეინარჩუნეს – მათი წარსულის შესწავლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე დიდი ხნის წინ დანგრეული სხვა რომელიმე ცივილიზაციისა
- (გ) ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მაიამ შექმნა ძლიერი იმპერია, რომელიც ქალაქების განვითარებაზე იყო ორიენტირებული – მაიას ტომებმა უცებ მიატოვეს თავიანთი ქალაქები, უცებ შეწყდა დიდმასშტაბიანი მშენებლობები
- (დ) მაიას ტომებმა უცებ მიატოვეს თავიანთი ქალაქები, უცებ შეწყდა დიდმასშტაბიანი მშენებლობები – ამ ცივილიზაციის დაცემის სავარაუდო მიზეზებს ორ კატეგორიად ყოფენ

15. რა სირთულეს უკავშირდება მაიას ცივილიზაციის კვლევა?

- (ა) ეს ცივილიზაცია უძველესია და მან დიდი ხნის წინ შეწყვიტა არსებობა; შესაბამისად, მაიას ცივილიზაციიდან მხოლოდ რამდენიმე წერილობითი საბუთი შემოგვრჩა
- (ბ) ცენტრალური ამერიკის ცივილიზაციებს სავაჭრო გზები აკავშირებდა ერთმანეთთან, ამ სასიცოცხლო გზების განადგურებამ კი შეუძლებელი გახადა კომუნიკაციები
- (გ) მაიას ცივილიზაციის დაცემა ეკოლოგიურმა კატასტროფამ განაპირობა, შესაბამისად, განადგურდა ნივთიერი კულტურის უამრავი ნიმუში
- (დ) მაიას კულტურის სპეციფიკურობა სრულიად ახალ პრობლემებს ბადებს, მწირი მასალა კი შედარებებისა და განზოგადების საშუალებას არ იძლევა

16. რას გულისხმობს გამოთქმა: „მაიას ყოველი ნაგებობა გაქვავებული კალენდარია“?

- (ა) მაიას ხალხის მიერ ქვის იარაღით ამოკვეთილ რელიეფებზე ასახულია ძველი ქალაქების ცხოვრებისა და ომის ეპიზოდები
- (ბ) ტაძრებზე, პირამიდებზე ამოკვეთილი ყოველი ორნამენტი თუ უცნაური სახე აღნიშნავდა რომელიმე თარიღს, შესაძლოა, მთელ კალენდარულ სქემასაც
- (გ) ცნობები, რომლებიც დიეგო დე ლანდამ მაიას ტომის ერთ-ერთი უკანასკნელი მეფისგან ჩაიწერა, ძირითადად, ქვის ნაგებობებსა და კალენდარს უკავშირდებოდა
- (დ) ქვის ორნამენტი, რომელიც თხუთმეტჯერ მეორდებოდა იეროგლიფთა კიბეზე ქალაქ კოპანში, წარმოადგენს მაიას ხალხის მიერ შექმნილი კალენდრის ფრაგმენტს

17. რა მიზნით არის მოყვანილი ტექსტში სხვადასხვა ეპოქის კალენდრის მონაცემები?

ისინი ნათელს ხდის, რომ:

- (ა) მაიას კალენდრის მონაცემები ნაკლებად ზუსტია ასტრონომიული გამოთვლებით მიღებულ თანამედროვე მონაცემებთან შედარებით
- (ბ) დროთა განმავლობაში სხვადასხვა კალენდრის მონაცემები სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა ასტრონომიული გამოთვლებით მიღებულ თანამედროვე მონაცემებს
- (გ) სხვა კალენდრების მონაცემებთან შედარებით, მაიას კალენდრის მონაცემები ყველაზე ახლოს არის თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით მიღებულ შედეგებთან
- (დ) მაიას კალენდარული სქემა ძველგვიპტური, იულიუსის, პტოლემეოსისა და გრიგორიანული კალენდარული სქემების მსგავსია

18. ტექსტის თანახმად, მაიას ხალხის სწრაფვა მისტიკურობისკენ უცნაურია, რადგან:

- (ა) მაიას ხალხი უზუსტეს ასტრონომიულ დაკვირვებებსა და მათემატიკურ გამოთვლებს აწარმოებდა, რაც ამ ხალხის აზროვნების რაციონალურობაზე უნდა მეტყველებდეს
- (ბ) დიეგო დე ლანდა მაიას ხალხს სხვაგვარად ახასიათებს: ისინი წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად აშენებდნენ უზარმაზარ ქალაქებს, ტაძრებს, პირამიდებს
- (გ) მაიას მითებში ასახული წარმოდგენები ღმერთზე, სამყაროზე, ცივილიზაციაზე განსაზღვრულია ზებუნებრივი ძალების რწმენით
- (დ) ეკოლოგიურ კატასტროფებს, კლიმატის მკვეთრ ცვლილებებს მაიას ხალხი ბუნების კანონებით ხსნიდა და ყოველ კონკრეტულ მოვლენას იეროგლიფთა კიბეზე აღნუსხავდა

19. „ყველაზე ზუსტი კალენდრის შემქმნელი ხალხი იმავე დროს მისი მონა გახდა“. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს ამ წინადადების აზრს?

- (ა) მაიას ცივილიზაციაში ხშირად გვხვდება პირამიდა, რომელზეც მეორე პირამიდაა დაშენებული და მასზე მითითებულია ახალი თარიღი
- (ბ) ორნამენტებით, სხვადასხვა გამოსახულებით მაიას ხალხი აღნიშნავდა გასული დროის ციკლებს
- (გ) ნებისმიერ დიდ მშენებლობას მაიას ხალხი გეგმავდა დღეების, თვეების, წლების აღნუსხვის გარკვეული სისტემის „კარნახით“
- (დ) მაიას ხალხი აშენებდა დიდ ქალაქებს, ტაძრებს, სასახლეებს და ყველა ნაგებობას ზუსტად ათარიღებდა

20. უცნობი ავტორის მიერ XX საუკუნეში გადაღებულ ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ინდიელი ჭაბუკი პროფილში. ინდიელი დგას ათას ხუთასი წლის წინ აგებული ტაძრის ფონზე. ტაძრის კედელზე ამოკვეთილია რელიეფი, რომელზეც გამოსახულია მაიას ტომის მამაკაცის პროფილი, ასევე, ვარსკვლავები, იეროგლიფები, ორნამენტები.

ტექსტის რომელი აბზაცის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ ეს ფოტოსურათი?

- (ა) I აბზაცის, რადგან აქ საუბარია ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთი ცივილიზაციის შემოქმედთა და თანამედროვე ინდიელთა ანთროპოლოგიურ (გარეგნულ) მსგავსებაზე
- (ბ) II აბზაცის, რადგან აქ საუბარია კოპანის იეროგლიფთა კიბეზე დროის ციკლების აღნიშვნის პრინციპის შესახებ, რელიეფზე კი იეროგლიფებით წერია მაიას უკანასკნელი მეფის სახელი
- (გ) III აბზაცის, რადგან აქ საუბარია სხვადასხვა ეპოქის კალენდარზე, რელიეფზე გამოსახული ორნამენტები კი, შესაძლოა, გრიგორიანული კალენდრის ფრაგმენტები იყოს
- (დ) IV აბზაცის, რადგან აქ საუბარია მაიას ხალხის მიღწევებზე ასტრონომიაში, ფოტოზე გამოსახული ჭაბუკი კი რელიეფზე გამოსახულ ვარსკვლავებს უყურებს

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

21. მონარქია : მემკვიდრეობითობა

- (ა) რიგითობა
- (ბ) არჩევითობა
- (გ) ცვალებადობა
- (დ) თანასწორობა

რესპუბლიკა :

22. ლექსიკა : სიტყვა

- (ა) ანატომიური აგებულება
- (ბ) ცოცხალი ორგანიზმი
- (გ) სიცოცხლის გავრცელება
- (დ) ეკოლოგიური სისტემა

ბიოსფერო :

23. ნებართვა : ათავისუფლებს

- (ა) აღკვეთს
- (ბ) აზუსტებს
- (გ) ადასტურებს
- (დ) ავალდებულებს

ხელშეკრულება :

24. ვეფხვი : პანტერა

- (ა) ბუჩქი
- (ბ) ბოლქვი
- (გ) ვარდი
- (დ) ყოჩივარდა

ია :

25. ინდივიდუალიზმი : პიროვნება

- (ა) ეჭვი
- (ბ) კრიტიკა
- (გ) პოზიცია
- (დ) ნდობა

სკეპტიციზმი :

26. არტილერისტი : კავალერისტი

- (ა) ბარელიეფი
- (ბ) ორნამენტი
- (გ) პალიტრა
- (დ) ფერწერა

ფრესკა :

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდოდ პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

27. ხელოვნება ----- სინამდვილეს, ----- , რაც არის სინამდვილე. ხელოვანი ----- და ცდილობს, ესთეტიკური ხილვით დაგვანახოს ის, რაც ----- .

- (ა) მართლაც ასახავს / რადგან ყოველთვის იმას გამოხატავს / სცილდება რეალურ მოვლენათა ფარგლებს / სინამდვილეშია
- (ბ) ფოტოგრაფიულად არ ასახავს / თუმცა, არასდროსაა მხოლოდ ის / ზუსტად აღწერს რეალურ მოვლენებს / სინამდვილეშია
- (გ) მართლაც ასახავს / მაგრამ არასდროსაა მხოლოდ ის / სცილდება აღქმად მოვლენათა ფარგლებს / სინამდვილეში არ არის
- (დ) ფოტოგრაფიულად არ ასახავს / რადგან ყოველთვის იმას გამოხატავს / ზუსტად აღწერს აღქმად მოვლენებს / სინამდვილეში არ არის

28. უდავოდ ----- , რომ ----- ადამიანს ველურ მხეცთან აახლოებს, ----- , რომ ----- ღვთაებრიობის ნიშნით არის აღბეჭდილი.

- (ა) მცდარი აზრია / მართლობის სიყვარული / შესაბამისად, არც ის არის მართალი / მართლობის სიყვარული
- (ბ) მართალია / საზოგადოებისგან განდგომა / შესაბამისად, სიცრუეა / მართლობის სიყვარული
- (გ) მართალია / მართლობის სიყვარული / თუმცა, ისიც სიცრუეა / ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი
- (დ) მცდარი აზრია / საზოგადოებისგან განდგომა / მიუხედავად ამისა, მართალია / ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი

29. ეპოქისთვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, განმსაზღვრელია რუსოს სენტენცია: „ბუნებამ ადამიანი ბედნიერი და კეთილი შექმნა, და თუ ის სხვაგვარია, ამაში ----- “. ეს თვალთახედვა ორ შეცდომას ემყარება: ერთი, რომ ადამიანი ----- ბედნიერი და კეთილი იყო, ----- ის ----- .

- (ა) თვითონ მას მიუძღვის ბრალი / საზოგადოების წარმოშობამდე / და რომ, შესაბამისად, / საკუთარი ნებით ხდება საზოგადოების წევრი
- (ბ) ბუნების ხელი არ ურევია / თავისი ბუნებით / ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობით / იძენს ამ თვისებებს
- (გ) საზოგადოებაა დამნაშავე / თავდაპირველ, ბუნებრივ მდგომარეობაში / და, მეორე, რომ თავიდან / საზოგადოების გარეშე არსებობდა
- (დ) ვერავის დავდებთ ბრალს / საზოგადოების წიაღში / ხოლო საზოგადოებისგან განდგომის შედეგად / უბედური და ბოროტი ხდება

30. მითის ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებთან ----- , რადგან მითი თავისუფალი ----- - იგი ----- . ამიტომ მითოსის მკვლევართათვის ----- .

- (ა) ხშირად მსგავსია, ზოგჯერ იდენტურიც / გამონაგონი არ არის / დაწურული ფორმით მოცემული მსოფლიოს სურათია / სიუჟეტური სქემის იდენტურობა ადვილად ასახსნელია
- (ბ) ყოველთვის სხვადასხვაგვარია / გამონაგონი არ არის / მსოფლიოს მრავალფეროვნების ილუსტრირებას წარმოადგენს / სიუჟეტური სქემის იდენტურობა ადვილად ასახსნელია
- (გ) ხშირად მსგავსია, ზოგჯერ იდენტურიც / გამონაგონია / დაწურული ფორმით მოცემული მსოფლიოს სურათია / სიუჟეტთა ნაირგვარობა ძნელად ასახსნელი არაა
- (დ) ყოველთვის სხვადასხვაგვარია / გამონაგონია / მსოფლიოს მრავალფეროვნების ილუსტრირებას წარმოადგენს / სიუჟეტთა ნაირგვარობა ძნელად ასახსნელია

ლოგოკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

31. მაგიდაზე ერთ რიგად აწყვია ხუთი ფირფიტა. იქვეა საღებავები და ფუნჯები. სანდრომ თითოეულ ფირფიტას უნდა გაუკეთოს ერთი ზოლი – წითელი ან ლურჯი, თანაც ისე, რომ შესრულდეს შემდეგი ორი პირობა:

- წითელზოლიანი ფირფიტები ლურჯზოლიან ფირფიტებზე მეტი იყოს
- ერთმანეთის მიყოლებით მდებარე სამი ფირფიტიდან ერთი მაინც იყოს ლურჯზოლიანი

სანდროს ამის გაკეთება ბევრნაირად შეუძლია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება განხორციელდება ყველა შემთხვევაში?

- (ა) მეორე ფირფიტას აქვს წითელი ზოლი
- (ბ) პირველ ან მეხუთე ფირფიტას (ან ორივეს) აქვს წითელი ზოლი
- (გ) მესამე ან მეოთხე ფირფიტას (ან ორივეს) აქვს წითელი ზოლი
- (დ) მეოთხე ფირფიტას აქვს ლურჯი ზოლი

32. ვიცით, რომ არსებობენ ცნობილი მოჭადრაკეები. ამასთან, მოცემულია:

- არც ერთი ცნობილი მოჭადრაკე არ არის კოსმონავტი
- ყველა ცნობილი მოჭადრაკე ფეხბურთის გულშემატკივარია

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომდინარეობს ამ წანამძღვრებიდან?

- (ა) ფეხბურთის არც ერთი გულშემატკივარი არ არის კოსმონავტი
- (ბ) არ არსებობს ადამიანი, რომელიც კოსმონავტიცაა და ფეხბურთის გულშემატკივარიც
- (გ) ფეხბურთის ზოგიერთი გულშემატკივარი კოსმონავტია
- (დ) ფეხბურთის ზოგიერთი გულშემატკივარი არ არის კოსმონავტი

33. A რეგიონი ბოლო ათი წლის განმავლობაში გრილი კლიმატით გამოირჩეოდა, მაგრამ იმ წლებში, რომლებშიც აქ ჰაერის საშუალო დღიური ტემპერატურა და ტენიანობა ნორმაზე უფრო მაღალი იყო, მნიშვნელოვნად იზრდებოდა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი. მოსალოდნელია, რომ გლობალური დათბობის პროცესების შედეგად რამდენიმე წლის შემდეგ A რეგიონისთვის ნორმად იქცეს ჰაერის დღიური ტემპერატურისა და ტენიანობის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც აღნიშნულ წლებში დაფიქსირდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე ფერმერმა ივარაუდა, რომ მომავალ ათწლეულებში A რეგიონში მოსავალი გაიზრდება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ ამ ვარაუდს?

- (ა) ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ზრდასთან ერთად გაიზრდება ატმოსფეროში ისეთი აირების შემცველობა, რომლებიც აჩქარებს მცენარეთა ზრდას
- (ბ) A რეგიონში ბოლო წლებში ზოგადად გრილი და მშრალი კლიმატის გამო რეგიონის სავარგულებზე მნიშვნელოვნად შემცირდა პარაზიტების რაოდენობა
- (გ) ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ზრდასთან ერთად გაიზრდება წლიური ნალექების რაოდენობაც, რაც ხელსაყრელია მცენარეთა მრავალი სახეობისთვის
- (დ) ბოლო წლებში ზოგადად გრილი და მშრალი კლიმატის გამო A რეგიონში ზოგიერთი კულტურის მოყვანა შეუძლებელი გახდა

34. სოფომ და თეონამ ახალგაზრდა პიანისტის საკონცერტო პროგრამა წაიკითხეს. პროგრამის შინაარსით გიორგიც დაინტერესდა.

სოფომ: თუ პიანისტი შეასრულებს ბახის ფუგას, მაშინ ის არ შეასრულებს მოცარტის სონატას.

თეონა: თუ პიანისტი შეასრულებს ბახის ფუგას, მაშინ ის შეასრულებს მოცარტის სონატასაც.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს გოგონების საუბრიდან, თუ ცნობილია, რომ ორივე გოგონამ სიმართლე თქვა?

- (ა) პიანისტი არ შეასრულებს ბახის ფუგას
- (ბ) პიანისტი არ შეასრულებს მოცარტის სონატას
- (გ) პიანისტი შეასრულებს ბახის ფუგასაც და მოცარტის სონატასაც
- (დ) ზემოთ მოცემული პასუხებიდან არც ერთი არ არის სწორი

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის ცნება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა ისტორიის მანძილზე იცვლებოდა და ახალ-ახალ თავისებურებებს იძენდა. მეტიც, ყველა ნეიტრალურმა სახელმწიფომ ამ ცნებას და მის პრაქტიკულ მხარეს რაღაც საკუთარი, განსაკუთრებული შესძინა. ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ურპო კეკონენმა ერთხელ შენიშნა, რამდენი ნეიტრალური სახელმწიფოც არის, იმდენი სახის ნეიტრალიტეტი არსებობსო. ნეიტრალიტეტის უძველესი სახეა ნეიტრალიტეტი ომში – განსაკუთრებული უფლებრივი სტატუსი სახელმწიფოსი, რომელიც არ ერთვება ორ ქვეყანას შორის შეიარაღებულ კონფლიქტში და მათ მიმართ მიუკერძოებელ პოზიციას ინარჩუნებს.

ნეიტრალიტეტის ცნება ჯერ კიდევ ძველ სამყაროში იყო ცნობილი. გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები საშუალებას აძლევდა ცალკეულ სახელმწიფოებს, სამხედრო კონფლიქტების მიღმა დარჩენილიყვნენ. ძველი ბერძნული და რომაული ისტორიული წყაროები საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც აღინიშნებოდა, როგორც „განზე დგომა“, „დაპირისპირებულ მხარეებთან მეგობრობის შენარჩუნება“. თუმცა, რეალურად ნეიტრალიტეტი ნიშნავდა ქვეყნის ვალდებულებას, არ დახმარებოდა იმ მხარეს, რომელიც „უსამართლო“ ომს აწარმოებდა. „აგრესორის“ დადგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, იყო თუ არა დაცული ყველა საჭირო რიტუალი ომის გამოცხადებისას, და არა იმას, თუ ვინ დაიწყო ომი. განსაკუთრებით მკაფიოდ იყო განსაზღვრული ომის გამოცხადებისა და დასრულების წესები ძველ რომში. თუ აგრესორის დადგენა ვერ ხერხდებოდა, მაშინ ქვეყანა ვალდებული იყო, კონფლიქტის ორივე მხარის მიმართ ერთნაირი პოზიცია დაეკავებინა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ჯარისთვის ტერიტორიის გადაკვეთის უფლების მიცემა, ჯარის სურსათით მომარაგება, ალყაშემორტყმულთა დახმარებაზე უარის თქმა. ნეიტრალიტეტის ვალდებულებები ხელშეკრულებებშიც აისახებოდა.

ფეოდალიზმის ეპოქაში ნეიტრალური სახელმწიფოს ვალდებულება, არ მიეღო მონაწილეობა სხვა ქვეყნების ომებში, ნაკლებად მკაცრი გახდა. გარდა იმისა, რომ საომარ მოქმედებებში მონაწილე ჯარებს ნეიტრალური ტერიტორიის მშვიდობიანად გადაკვეთის უფლება ჰქონდათ, ნებადართული იყო, აგრეთვე, ნეიტრალური ქვეყნის მკვიდრთა გამოყენება დაქირავებულ ჯარისკაცებად. დასაშვები იყო ომში ჩართულ მხარეთა დახმარება ჯარით, ფულადი სახსრებით ან იარაღით. ეს, ძირითადად, მაშინ ხდებოდა, როცა ნეიტრალური ქვეყანა ომში ამგვარი ირიბი მონაწილეობის შედეგად გარკვეულ სარგებელს მოელოდა. მეორე მხრივ, ნეიტრალიტეტის საერთაშორისო გარანტიები თითქმის არ არსებობდა. ხშირი იყო ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებათა აკრძალვის უგულებელყოფა, თუ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო ისეთი ობიექტები (მაგალითად, ციხესიმაგრე), რომელთა ხელში ჩაგდებათ დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთი უპირატესობას მოიპოვებდა. ნეიტრალურ სახელმწიფოს საკუთარი ძალებით უხდებოდა „ნეიტრალიტეტის“ შენარჩუნება.

თანამედროვე ეპოქაში ნეიტრალიტეტის სტატუსი სახელმწიფოსთვის არის დამოუკიდებლობის გარანტი, სხვა სახელმწიფოებისთვის კი – იმის გარანტი, რომ ნეიტრალური ქვეყანა კონფლიქტში არ ჩაერთვება. თუმცა, თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობა განსხვავდება კლასიკური ომებისგან და ახალი ტიპის პრობლემებს წამოჭრის: როგორ უნდა მოიქცეს ნეიტრალური სახელმწიფო, თუ მას სთხოვენ, გახსნას საჰაერო ან საზღვაო საზღვრები, რათა ხელი შეუწყოს კონფლიქტის პრევენციას, ანტიტერორისტულ თუ ჰუმანიტარულ აქციებს? ამ შეკითხვაზე პასუხი ნეიტრალურობის თეორიას ჯერჯერობით არ აქვს.

35. რა მიზანს ემსახურება ურჰო კეკონენის მოსაზრების ციტირება?

- (ა) განმარტავს ნეიტრალიტეტის ცნების არსს ყოველი ცალკეული სახელმწიფოს კონტექსტში
- (ბ) ხაზს უსვამს ნეიტრალიტეტის სპეციფიკურობას ამა თუ იმ ქვეყანასთან მიმართებაში
- (გ) წარმოაჩენს ნეიტრალური სახელმწიფოების მრავალფეროვნების განმაპირობებელ ფაქტორებს
- (დ) ასაბუთებს ნეიტრალური ქვეყნების თავისებურებასა და ცვალებად ბუნებას

36. რატომ არის II აბზაცში სიტყვა *აგრესორი* ჩასმული ბრჭყალებში?

- (ა) ამ სიტყვის „უსამართლობის“ სინონიმად გამოყენების აღსანიშნავად
- (ბ) ტექსტის ავტორის ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად
- (გ) ტექსტის ავტორისთვის ამ სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასასმელად
- (დ) რეალურ ვითარებასთან ამ სიტყვის მნიშვნელობის შესაძლო შეუსაბამობის აღსანიშნავად

37. III აბზაცის მიხედვით, რომელ წინადადებებს შორის არის მიზეზშედეგობრივი კავშირი?

- (ა) ნეიტრალური ქვეყანა ომში ირიბი მონაწილეობის შედეგად გარკვეულ სარგებელს მოელოდა – დასაშვები იყო ომში ჩართულ მხარეთა დახმარება
- (ბ) ნეიტრალიტეტის საერთაშორისო გარანტიები თითქმის არ არსებობდა – ხშირი იყო ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებათა აკრძალვის უგულებელყოფა
- (გ) ნეიტრალიტეტის საერთაშორისო გარანტიები თითქმის არ არსებობდა – ნეიტრალური სახელმწიფოს ვალდებულება, არ მიეღო მონაწილეობა სხვა ქვეყნების ომებში, ნაკლებად მკაცრი გახდა
- (დ) ნეიტრალური ქვეყანა ომში ირიბი მონაწილეობის შედეგად გარკვეულ სარგებელს მოელოდა – ნებადართული იყო ნეიტრალური ქვეყნის მკვიდრთა გამოყენება დაქირავებულ ჯარისკაცებად

38. ძველი სამყაროსა და ფეოდალიზმის პერიოდში არსებული ნეიტრალიტეტის პრინციპების ურთიერთშედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- (ა) ნეიტრალური სახელმწიფო ორივე ეპოქაში თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობდა დაპირისპირებულ მხარეებს, თუმცა, პირველ შემთხვევაში ეს ყოველთვის სავალდებულო იყო, ხოლო მეორეში – არა
- (ბ) ნეიტრალური სახელმწიფოსთვის ორივე ეპოქაში დასაშვები იყო დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთის დახმარება, თუმცა, პირველ შემთხვევაში ამას წინასწარ დადგენილი წესები განსაზღვრავდა, ხოლო მეორეში – სარგებლის მიღების შესაძლებლობა
- (გ) ძველ ეპოქაში ნეიტრალიტეტი კრძალავდა დაპირისპირებულ მხარეთა ჯარების მიერ ნეიტრალური ქვეყნის საზღვრების გადაკვეთას, ხოლო ფეოდალიზმის პერიოდში ეს ნებადართული იყო
- (დ) ძველ ეპოქაში ნეიტრალიტეტის შენარჩუნება დამოკიდებული იყო სახელმწიფოთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, ხოლო ფეოდალიზმის ეპოქაში – ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებათა აკრძალვაზე

39. ბოლო აბზაცში დასმული შეკითხვა იმაზე მიუთითებს, რომ:

- (ა) ნეიტრალური ქვეყნის ვალდებულებები არ შეესაბამება ომის წარმოების თანამედროვე პრინციპებს
- (ბ) ნეიტრალიტეტის სტატუსი უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას თანამედროვე კონფლიქტების სახეცვლილების პირობებში
- (გ) ნეიტრალიტეტის პრინციპები ვერ ითვალისწინებს კონფლიქტური სიტუაციის ყველა შესაძლო ვარიანტს
- (დ) ქვეყნის ნეიტრალურობა გამორიცხავს მის მონაწილეობას კონფლიქტების პრევენციასა და ჰუმანიტარული აქციების განხორციელებაში

40. რა მიმართებაა ტექსტის I აბზაცსა და დანარჩენ სამ აბზაცს შორის?

- (ა) I აბზაცში საუბარია ერთ-ერთი პოლიტიკური მოვლენის დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლებიც განხილულია II-III აბზაცებში, ხოლო ბოლო აბზაცში წარმოდგენილია ამ მოვლენის შესახებ არსებული თეორიის ძირითადი პრინციპები
- (ბ) I აბზაცში განხილულია კონკრეტული პოლიტიკური ფენომენი, ხოლო შემდგომ აბზაცებში მოცემულია მისი არსებობის დამადასტურებელი მაგალითები
- (გ) I აბზაცში გამოკვეთილია ერთ-ერთი პოლიტიკური მოვლენის მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ილუსტრირებულია დანარჩენ სამ აბზაცში
- (დ) I აბზაცში დახასიათებულია ერთ-ერთი პოლიტიკური მოვლენის ბუნება, II-III აბზაცებში ისტორიული ფაქტების საფუძველზე გაანალიზებულია მისი გამომწვევი მიზეზები, რომლებიც შეკითხვის სახითაა წარმოდგენილი ბოლო აბზაცში

